ცნობის ფურცელი

№ 2460 ხუთშაბათი, 8 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2460

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- —5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1 აპრილიდან წლის დამლევამდე ურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

ამა წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“ (სობრანიეს)
საზაფხულო ბაღში, მიხეილის პროსპექტზე
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“
სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო, გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა, ცოცხალი სურათები.

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში სასახლის ქუჩა, თავად-აზ. ქარვასლა) და კნ. ოლგა თად. ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95.). (0—3)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

ხუთშაბათს, 8 აპრილს, დიდი წარმოდგენა. გაიმართება კავკასიური ჭიდაობა განთქმულ ფალავნის კულა **გლდანელისა** და ცნობილ ფინლიანდიელ ფალავნის **კრამერის** შორის. პრემია 100 მან. გამარჯვებულს. მეორე ჭიდაობა გაიმართება მოყვარულთა შორის. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. —11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი. —ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან უთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—5.—5)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბებიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიაქურთოშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვარნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი

პეტერბურგი. 5 აპრილს მოვიდა ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი.—დაინიშნენ: ციმბირის ჯართა პირველ კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი მანჯურიის ჯარის შტაბის უფროსად, გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ფონ-შტაკელბერგი—ციმბირის ჯართა პირველ კორპუსის უფროსად.

ვლადივოსტოკი. გამოსცადეს ისინი, ვინც კურსებზე ემზადებოდნენ მოწყალების დებათა და ძმებად. ეგზამენი დაიჭირა 74. ამათ წყალობით დაკმაყოფილებულ იქმნება საავადმყოფოების მოთხოვნილება. დიდად საჭიროა მოწყალების დებისა და ძმების შიდა რუსეთიდან გზავნის ნაცვლად, რაიც ძვირად ჯდება, დაარსდეს მუდმივი საზოგადოება, რომელიც სარგებლობას მოუტანს ამ კუთხეს ომიანობის გარდა მშვიდობიანობის დროსაც, როდესაც გადამდები სენი გავრცელდება.

პეტერბურგი. როგორც იუწყებიან, მაკაროვისა და იმასთან ერთად დაღუპულთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გადაუხდიათ ვორონეჟსა, ირკუტსკსა, ჩისტოპოლსა, სემიპალატინსკსა, ტომსკსა და ვლადიმირში.

7 აპრილი.

ადესსა. 6 აპრილს საფრანგეთის გემით „კრიმე“-თი „ვარიაგ“-ის უფროსის ფლიგელ-ადიუტანტის რუდნევის მეთაურობით მოვიდნენ ჩემულპოს გმირნი. სულ 444 კაცია, აფიცრები ზარუბაევსკი, სტეპანოვი და კლიმოვი და ექიმი ვანჩუკოვი. მოვიდა აგრეთვე ის რაზმი, რომელიც სეულში რუსის საელჩოს იცავდა, სულ 55 მატროსი ჯავშნიან გემის „სევასტაპოლი“-დან. ახლად მოსულთ საგანგებოდ დაჰხვდნენ. მიეგებნენ ნავთ-სადგურის უფროსი გენერალი პერელეშინი, რომელმაც მიულოცა სტუმრებს ხელმწიფის წყალობა და გადასცა მატროსებსა და აფიცრებს გიორგის ჯვრები, ხოლო რუდნევს—უმაღლესი გრამოტა ფლიგელ-ადიუტანტის წოდებისა. მთელი სანაპირო დიდძალის ხალხით იყო სავსე. „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის მეზღვაურნი რუდნევის მეთაურობით პალუბაზე გამწკრივდნენ. მუსიკამ დაუკრა მარში, ხოლო შემდეგ საერო ჰიმნი. გემები ნავთ-სადგურში ბაირაღებით იყო მორთული. გემიდან პირველი ჩამოვიდა რუდნევი. ჯარის უფროსმა სამჯერ გადაჰკოცნა რუდნევი და მიესალმა, შემდეგ მიესალმნენ ქალაქის მოურავი, რომელმაც პურ-მარილი მიართვა, და დეპუტაციები ტფილის თავად-აზნაურობისა და ადესის ოლქის ჯარებისაგან. აქვე დაჰხვდნენ რუდნევს მეუღლე და შვილები. მეზღვაურები ნაპირზე გადმოვიდნენ. ჯარის უფროსმა მიულოცა გმირებს ხელმწიფისაგან წყალობის მიღება და წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. დღეს მეზღვაურნი რუდნევის მეთაურობით სევასტოპოლს მიდიან. მეზღვაურნი „სვიატოი ნიკოლაის“ გემზე გადავიდნენ და სევასტოპოლს წავიდნენ. ხალხი „ურას“ იძახდა, მუსიკა ჰიმნს უკრავდა. გააცილეს ჯარის უფროსმა, გრადონაჩალნიკმა, ქალაქის მოურავმა და დიდძალმა ხალხმა.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის მატროსებს სადილი გაუმართოს, ხოლო აფიცრებს პატივი სცეს საბჭოში და ქეტონები მიართვას.

ბერლინი. ლონდონში ატყობინებენ პორტ-არტურიდან, რომ რუსეთის ჯარი კარგს გუნებაზეა. ხმელეთის ჯარი მოუთმენლად მოელის მტერთან შებრძოლებასო.

„დეილი ექსპრეს“-ს აუწყებენ ვეი-ჰაი-ვეიდან: ტოგოს ესკადრა წავიდა ბლონდის კუნძულებისაკენ; ტოგომ ეს კუნძულები სამოქმედო ბაზად გაიხადაო.

შანჰაი („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ჯარი განაწილებულია საექსპედიციო და საოკუპაციო რაზმებად. პირველი რაზმი, რიცხვით 45 ათასი კაცი, მიიწევს იალუსაკენ, ხოლო მეორე, რიცხვით 15 ათასი კაცი, გზებს აკეთებს. მთავარ ბინაზე სეულს 4 ათასი კაცია. სატრანსპორტო ოპერაციებისათვის მთავარ აგილად არჩეულია ჩემულპო. რკინისა და სხვა გზების კეთება ნაყოფიერად სწარმოებს. კუნძულ კასიდოს ამაგრებენ.

სეული („რეიტ. სააგ.“). გენზანის ტამოჟნაში მოსამსახურე იტყობინება: დიდ სამხრეთის გზაზე იმყოფება რუსეთის ძლიერი რაზმი, რომელმაც გაიარა აღმოსავლეთის სანაპიროების გაყოლებაზე და მიაღწია სუნ-ჩხენამდე. ეს ქალაქი დაიჭირა მოწინავე რაზმმა. მთავარმა ჯარმა-კი დაიჭირა პუჩკენი, რომელიც მდებარეობს გენზანიდან ჩრდილოეთით 80 მილის მანძილზე.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

7 აპრილი

პეტერბურგი. დღეს ნიკოლოოზის რკინის გზის მატარებლით მოვიდა დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი. სადგურზე მიეგებნენ წარჩინებულნი პირნი, ნათესავები, ნაცნობები და აუარებელი ხალხი. მუშებმა ხატი მიართვეს. ვიცე-ადმირალის კარეტა ხალხმა აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით მიაცილა „ევროპეისკაია“ სასტუმრომდე. ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი ოთხის დღის შემდეგ ისევ სევასტოპოლს დაბრუნდება, ხოლო იქიდან შორეულ-აღმოსავლეთს გაემგზავრება.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

პრესსის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

საფრანგეთის გამოჩენილ მეცნიერს ელიზე რეკლიუს ფრანგულ ჟურნალს „რევიუ“-ში წერილი დაუბეჭდია, სადაც, გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, აცხადებს, რომ „აღმოსავლეთ-აზიის ომი მეტად დიდ ცვლილებას შემოიტანს ქვეყნიერობის პოლიტიკურსა, ეკონომიურსა და სოციალ-გეოგრაფიაში; მოსალოდნელია, ამ ომს ისეთი ბოლო მოჰყვეს, რომ თავისის მნიშვნელობით არ ჩამოუვარდეს იმ შესანიშნავსა და უდიდეს ამბებს, რომელსაც ისტორია აღნიშნავს იმ ხანებში, როცა სწორედ ამ აღმოსავლეთ-აზიიდან ევროპას ჰუნნები შემოესია და დიდი რომის იმპერია ერთიანად დაამხო.“

გამოჩენილი მეცნიერი შემდეგ აი რას ამბობს: „იაპონელები რუსები, და ამასთან ერთად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხნი ამ ომს ისე უყურებენ, რომ აქ ორი მოდგმის ხალხები შესჯახებიან ერთმანეთს, ორი, ერთი მეორის სრულებით მოწინააღმდეგე, ქვეყნები. სწორედ ასე უნდა შევხედოთ ამ ამბებს.

ჩინელებს, რა თქმა უნდა, არ დაჰვიწყნიათ 1894—1895 წლებში რომ დამცირება მიიღეს და არც იმ დროების დანაკარგიც, მაგრამ ყველა ამას უფრო ადვილად აპატიებენ თავის ყვითელ ძმებს, ევროპიელებს-კი შეურაცხყოფას არ შეარჩენენ. ჩინეთმა კარგად იცის, რომ იაპონელების მიერ დაწყებული საქმე, რომელსაც ისინი ამ ჟამად ასე მედგრად ესარჩლებიან, ეს სწორედ ჩინეთისათვისაც საკუთარ საქმეს შეადგენს. ჩინეთი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს მანჯურიის საქმეებს, თუმცა ძალა-უნებურად, ჩაჩუმებულია და მოქმედება-კი იაპონიას მიანდო, რომელიც ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ-აზიის ყველა ხალხების სახელობით გამოსულა ბრძოლის ველზე, რადგან ეს ხალხები ერთმანეთ შორის სავსებით შეთანხმებულნი არიან ამ ჟამად. დიპლომატები ამტკიცებენ, რომ ბრძოლის ველი განსაზღვრულიაო, მაგრამ სწორედ ამის საწინააღმდეგოსა ვგრძნობთ და „ცის ქვეშეთი“-სა და „ამომავალ მზის“ სახელმწიფოთა ბედ-იღბალი განუშორებლად ერთმანეთში დაკავშირებულნი არიან“.

ამის შემდეგ ელიზე რეკლიუ ამტკიცებს, რომ „ყვითელ საფრთხე“-ს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბევრსა ჰგონიაო. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ სწორედ დაჰკრა ჟამმა, როცა აზიის ყველა ხალხები ერთ გზას დაადგებიან, გზას შეერთებისას, რომ შეერთებულის ძალ-ღონით ევროპიელების ულლიდან თავი იხსნან. ვინც პეკინში გაიძახის „ჩინეთი ჩინელებისათვისაო“, ამათ ბანს აძლევენ აზიის სხვა ხალხებიც. რაც უნდათ, ის იფიქრონ იაპონიის მეგობარის დიდ ბრიტანიის სვე-ბედის მეთაურთ, მხოლოდ ის-კი ნამდვილია, რომ ინდოეთის მკვიდრნი იაპონელებს როგორც თავის მხსნელებს, ისე უყურებენ.

პატრიოტ-რევოლიუციონერები ინდოეთში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ბევრსა ჰგონია. ეს პატრიოტები აქამდე იმას ადევნებდნენ თვალ-ყურს, რუსები ჰიმალაის მთებს ხომ არ გადაცილებულანო, ეხლა-კი იმათი გული და ყური შორეულ-აღმოსავლეთისაკენაა მიქცეული; ის „მწყემსები“, რომელთაც დიდმა ბრიტანიამ დაავალა 300 მილიონის ხალხის მწყსობა ინდოსტანში, შეშინებულნი არიან იმით, რომ იმათ მცხოვრებთაგანი რამდენიმე ცდილობენ ტოკიოში. ამგვარისავე დიდის იმედებით უყურებს ეხლანდელს ომს ავღანისტანის ხალხიც, რომელიც ინგლისელებს ისე მიაჩნიათ, რომ თითქოს ინდოეთი ამათ უნდა დაიცვან რუსებისაგან, რადგან ეს უკანასკნელნი მუდამ მზად არიან შეიჭრან ინდოეთში. აქაც, ესე იგი ავღანისტანში, მკვიდრნი ისე უყურებენ იაპონელებს, როგორც აზიის ხალხების დამოუკიდებლობის მცველსა და მფარველს.

დასასრულ სპარსეთი, ის სახელმწიფო, რომელიც ინგლისელებმა და რუსებმა არ იციან როგორ გაინაწილონ ერთმანეთში, კურთხევას უგზავნის შორეულ-აღმოსავლეთიდან მოვლენილ მხსნელს, რომელმაც

მიიპყრო ამ ორ მოქიშპე სახელმწიფოს ყურადღება და ამით ცოტა ხნით მაინც შეასვენა ეს ქვეყანა—სპარსეთი".

ელიზე რეკლიუ ამბობს: „ყვითელ საფრთხე"-ზე ევროპაში თუმცა ბევრს ლაპარაკობდნენ და ეხლაც განაგრძობენ ამ ლაპარაკს, მაგრამ მაინც ვერ წარმოუდგენიათ ამის არც მნიშვნელობა და არც სიდიდე. ზოგიერთნი უარსაც ჰყოფენ ამას, ამტკიცებენ, ეს მხოლოდ მოჩვენებაა, მოშლილ გონების ნაყოფიაო, მაგრამ ამითი ისინი მხოლოდ ისტორიის კანონთა უცოდინარობას აცხადებენო. ისტორიულ პროცესში ყოველთვის ისე ყოფილა, რომ ყოველ მოქმედებას წინააღმდეგი მოქმედება გამოუწვევია. წინეთ „თეთრი საფრთხე" იყო ხომ აზიის ხალხებისათვის; ევროპის ხალხებისათვის უნდა დადგეს ხანა „ყვითელი საფრთხე"-სი. აზიაში იმდენი მძიმე დანაშაულობა ჩაუდენია ევროპის ხალხთა წარმომადგენელთ, რომ სამაგიეროს გადახდა აუცილებლად მოსალოდნელია. დასავლეთ ევროპის კაცს, ამერიკელს ბევრი უთელავს, შეუბრალებლად ბევრი მოუღრჩვია იმათგანი, ვინც იმის შეხედულობით დაბალ მოდგმის ხალხად მიაჩნდა. უდიდეს დრამის პირველი მოქმედება დაიწყო. ამ მოკლე ხანში მხედრობამ და ფლოტმა უნდა გადასწყვიტონ ხალხების სვე-ბედი. რუსეთ-იაპონიის ომმა უკვე შემოიღო ჩინეთში შესამჩნევი ცვლილებანი. იაპონიასთან ერთად, რომელმაც ააფრიალა პანმონგოლიზმის დროშა, გამოდის ჩინეთიც. ეს დღითი-დღე ძლიერდება, იმისი პრესტიჟი თან და თან მატულობს. იაპონელებისაგან, იმათ სკოლებში და იმათ ხელმძღვანელობით ჩინეთი მიიღებს ყველაფერს, რაც უნდა და რაც საჭიროა ევროპიელთა წინააღმდეგ ამხედრებისათვის; მიიღებს ყველაფერს და ისეთის კილოთი დაიწყებს ლაპარაკს, როგორიც შეჰშვენის 500 მილიონ მცხოვრებისგან შემდგარ იმპერიას...

შემდეგ ე. რეკლიუ ეხება საფრანგეთის სამფლობელოს მდგომარეობას აზიაში და ამბობს, აქაც ძირიანად იცვლება საქმეებიო. საფრანგეთში ეხლა ხშირად გვესმის შემდეგი სიტყვები: „აზიაში ჩვენის კოლონიების დაცვა შეუძლებელია სამხედრო საშუალებით; დაგვრჩენია მხოლოდ ერთი ღონისძიება ჩვენის სამფლობელოს დასაცველად—მკვიდრთ ჩვენი თავი შევაყვაროთ; უნდა ვეპყრობოდეთ ანნამიტებს ძმურად და სამართლიანად; ვეცადოთ მათ გაბედნიერებას, ვიზრუნოთ, რომ თავისთავად შეუყვარდეთ საფრანგეთის ცივილიზაცია". მაგრამ ვაი რომ გვიანღა არისო! დასძენს ავტორი; გვიანღა არისო ეხლა, როცა საქმე გაგვიჭირდა, ძმობაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკიო! ანნამიტებიც ჩინელებისა და იაპონელების მომხრენი არიან და მომავალ ბრძოლაში აზიელებს მისცემენ მხარსა და არა ევროპა-ამერიკასაო...

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გერმანიის ომი გერეროებთან. გერმანიის მთავრობას ეგონა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გერეროებს ხელად გააჩუმებს ჩვენი ჯარიო, მაგრამ ეს ფიქრი არ გამართლდა. გერეროები დღესაც ბრძოლას განაგრძობენ და ხშირად ამარცხებენ კიდევაც გერმანელებს და საქმე ისე გაუჭირვეს, რომ გერმანიის მთავრობამ ამას წინად მაშველი ჯარი გაგზავნა აფრიკაში. გერმანიის საზოგადოება დიდის ყურადღებით ეკიდება თურმე ამ ომის ამბებს. „რუსკია ვედომოსტი"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იწერება: „თუმცა გერეროებთან ომი, რუსეთ-იაპონიის ომთან შედარებით, ხსენებადაც არა ჰღირს, მაგრამ გერმანიის საზოგადოება, პრესა და პოლიტიკური მოღვაწენი მაინც დიდის ყურადღებით ეკიდებიან ამ საქმეს. ყველას მეტად სამწუხარო, მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია ეს ომი. მთავრობა ომის ამბებს სინიდისიანად, მიუდგომლად, დაწვრილებით უცხადებს ხალხს და რისამე დამალვა ფიქრადაც არ მოსდის. გერმანული გაზეთებიც მსხვილის ასოებით, დაწვრილებით ჰბეჭდავენ ომის ყოველ ამბავს, გერმანიის ჯარის სამხედრო მოქმედებას თავისუფლად არჩევენ და უფროსების ყოველ შეცდომას მიუდრიდებლად ჰკიცხავენ. როცა ამას წინად აფრიკაში მაშველი ჯარი გაგზავნეს, ბერლინის ვაგზალზე მრავალი ხალხი მივიდა ჯარის გასაცილებლად. გერმანიაში, სამხედრო სამსახურის კანონით, მთავრობა ძალით ვერც ერთს სალდათს ვერ გაჰგზავნის კოლონიაში. ეხლაც აფრიკაში თავიანთ ნებითა და სურვილით მიდიან სალდათები, თორემ მთავრობა ძალით ვერავის გაჰგზავნიდა. ამიტომ აფრიკაში გასაგზავნ სალდათებს ხალხი ისე აცილებდა, როგორც ნამდვილ გმირებს. ორის კვირის წინად ბერლინიდან ერთ რაზმს—600 კაცს—რომ ისტუმრებდნენ აფრიკაში, თითონ გერმანიის დედოფალმა (იმპერატორი, როგორც იცით, მოგზაურობს) ინახულა ეს რაზმი, ყველას სათითაოდ საჩუქარი უბოძა, გზა დაულოცა და გამოემშვიდობა.

ამას წინად მთავრობამ რეიხსტაგს ფული სთხოვა გერეროების აჯანყების ჩასაქრობად. ბებელმა თავის პარტიის სახელით უპასუხა მინისტრს: „ერთ გროშსაც არ მოგცემთო"! სხვა პარტიების მეთაურებმა კი ყველამ ერთხმად გამოაცხადეს: „ეხლა მიზეზების ძებნის დრო არააო, ჯერ გერეროების აჯანყება ჩავაქროთ და მერე გამოვიძიოთ, რამ გამოიწვია ეს სამწუხარო ამბებიო. თუ კოლონიის მოხელეები მართლა ისე მხეცურად ექცეოდნენ გერეროებს, რომ საქმე აჯანყებამდე მიიყვანეს, ამას პარლამენტი თავის დროზე სასტიკად გამოიძიებს და ყველა დამნაშავეს ღირსებისამებრ დასჯის; ეხლა კი, როცა ჩვენი თანამოქალაქეები გერეროებს ებრძვიან, გამოძიების დრო არაა, ჯერ ჯარი და იარაღი უნდა მივაშველოთ მტრის მოსაგერებლადაო".

გაზ. „ფორვერტს"-ი. „რუსსკია ვედომოსტ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს: „20 წელიწადი შესრულდა, რაც გერმანელ მუშების პარტიის უმთავრესი გაზეთი „ფორვერტს"-ი გამოდის. ეს გაზეთი ბისმარკის ხელში, სასტიკ რეაქციის დროს, გამოვიდა პირველად და 1890 წლამდე მეტად დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. სხვა გაზეთები პრესის კანონს ექვემდებარებოდნენ, „ფორვერტს"-ის ბედი კი ადმინისტრაციის ხელში იყო: ადმინისტრაციას ყოველ წამს შეეძლო „ფორვერტის"-ს დახურვა და განადგურება. მუშების უმთავრესმა გაზეთმა მაინც გაუძლო ამ სასტიკ წესებს და ხელის მომწერლებიც გაიმრავლა. ეგაა წინად, განსაკუთრებულ კანონების დროს, გაზეთის შინაარსი ეხლანდელთან შედარებით მეტად სუსტი იყო, რედაქტორებსა და თანამშრომლებსაც მეტად უმძიმდათ თავიანთ იდეების გავრცელება. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ მუშების გაზეთს ეხლაც-კი ხშირად მოსდის შეტაკება გულმოდგინე პროკურორებთანა და სასტიკ სახელმწიფო მოსამართლეებთან. მაგრამ ეხლა ზარალი მხოლოდ რედაქტორსა და წერილების ავტორებს მოსდით, მაშინ, რეაქციის დროს-კი, გაზეთის ბედი ადმინისტრაციის ხელში იყო. განსაკუთრებულ კანონების გაუქმების (1890 წ.) შემდეგ დღემდე „ფორვერტს" ის რედაქტორებს, საზოგადოთ, 4 თვე ციხეში ჯდომა და 10 ათას მარკა ჯარიმის გადახდა ჰქონიათ გადაწყვეტილი, მაგრამ ეს სასჯელი წინანდელ წესებთან შედარებით სულ არაფერიაო, ამბობენ გაზეთის რედაქტორები. ამ ჟამად მუშების პარტიის უმთავრესს გაზეთს 84 ათასი ხელის მომწერი ჰყავს და გერმანიაში მეტად გავრცელებულ გაზეთად ითვლება; „ფორვერტს"-ის აზრს მთავრობა და პარლამენტი დიდის ყურადღებით ეკიდებიან, გაზეთს არა თუ მარტო თანამოაზრენი, ყველა პოლიტიკურ მიმართულების მოღვაწენიც დიდის ინტერესით ჰკითხულობენ".

ინგლისელი კორესპონდენტი. ტიბეტში გურკასთან ბრძოლის დროს, როგორც ვიცით, ტიბეტელებმა „დეილი მეილ"-ის კორესპონდენტიც ბ.ნ კანდლერიც დასჭრეს. საქმე ასე ყოფილა. ბ-ნი კანდლერი გენერალ მაკდონალდს ახლო იდგა თურმე და კარანდაშით კორესპონდენციას სწერდა. ტიბეტელებმა იფიქრეს, ეს ან მთავარ-სარდალი იქნება, ან მკითხავიო და ყველაზე წინ კანდლერს ეცნენ. კანდლერი ხელ-ღონიერი, უშიშარი კაცია, ყოჩაღადაც დაუხვდა, თურმე, ტიბეტელებს, ერთი კაცი დასცა კიდევაც, მაგრამ მრავალ მტერთან ვერას გახდა, მით უმეტეს რომ რევოლვერის ამოღებაც ვერ მოასწრო. ტიბეტელები წაეხვივნენ და თორმეტ ადგილას დასჭრეს, სულაც წუთისოფელს გამოასალმებდნენ, რომ გენერალი მაკდონალდი და ლეიტენანტი დევისი ხელად რევოლვერებით არ მიჰშველებოდნენ. ძალზე დაჭრილი კორესპონდენტი ექიმებმა წაიყვანეს და ჭრილობის შეხვევა დაუპირეს, მაგრამ თავდადებულმა კორესპონდენტმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიათ: რა დროს ჭრილობის შეხვევაა, ჯერ დეპეშა უნდა გავუგზავნო ჩემს გაზეთსაო. მართლაც კანდლერმა ჯერ დეპეშა გაუგზავნა „დეილი მეილ"-ს და მხოლოდ ამის შემდეგ შეახვევინა ექიმებს თავისი 12 ჭრილობა. კანდლერისათვის ექიმებს მარცხენა ხელი სულ მოუჭრიათ, მაგრამ ბეჯით კორესპონდენტს მაინც დეპეშა გაუგზავნია ლონდონში: ერთის თვის შემდეგ სულ მოვრჩები და ახლა კორესპონ ციების წერას შევუდგებით.

კანდლერი ახალგაზდა კაცია, ჯე წლისაც არაა, მაგრამ მაინც მთელს ერობის შემოვლა და ნახვა მოუსწრია თი ქვეყანა არ გაუშვია უნახავი და ლელი.

ოსმალეთი და რუსეთ-იაპონი „პეტერბურგსკია ვედომოსტი"-ს კო დენტი იწერება სტამბოლიდან: „ეხლა ბოლსა და ილდიზ-კიოსკში რუსეთ-ია ომის გარდა, სხვა არა ენტერესებ ბრძოლის ველიდან მოსულ დეპეშებ ლანი ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ დის ინტერესით ჰკითხულობენ. ოსმა პოლიტიკოსთა წრეებმა ხომ თავიანთ კუთარი საქმეები მთლად დაივიწყეს კვირველის ყურადღებით ეკიდებიან თისა და იაპონიის დიდებულ ბრძოლ პონელების მოქმედებამ ლამის ჭკუიდ დარიოს ოსმალები. წინად ოსმალებს ნია აინუნშიაც არ მოსდიოდათ, ეხ იაპონიაზე დაწერილ წიგნებს მაღაზიებ ჯითად ჰყიდულობენ და გულ-მოდ ჰკითხულობენ. ოსმალურ ენაზეც მრ წიგნი იბეჭდება იაპონიაზე. როგორც გან, აქაც ხალხი ორ ბანაკად გაიყო: იაპონიას ემხრობა, ზოგი რუსეთს. იაპ მომხრეები ხმა მაღლა ჰყვირიან, იაპონ კუდს ამოაძუებინებენ „ჩრდილოეთის სათ". რუსეთის მომხრეები-კი ამტკი ეხლანდელი ომი რუსეთს უფრო გა რებს, იაპონიას-კი სულ მთლად გაან რებსო. რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზ წინად ერთს რესტორანში ორს ოსმ აფიცერს დიდი ჩხუბი მოჰსვლიათ. აფიცერს, ჩამომავლობით ქურთს და სში ნამყოფს, ეთქვა: დარწმუნებული იაპონია გაიმარჯვებს და დიდ სახელ რუსეთს გაანაწილებენო. მეორე აფი ჩამომავლობით ყირიმელ თათარს, აბა ეგ რა სათქმელია, იაპონია რ აჯობებს ძლიერ რუსეთსაო. ამაზე აფ შეჰყვნენ თურმე და ამხანაგებს რო გაეშველებინათ საქმე ცუდად გათავ

ახალი ამბავი

◆ ფრიად სასიამოვნოდ მიგვაჩნია ნოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ბ-ნმა სტ **ზუბალაშვილმა შემოწირულება გა ზავნა** „ქართველთა შორის წერა-კითხვ ვრცელებელ საზოგადოება"-ს. ბ-ნ ზუ შვილს ბაქოდან წერილით მიულოცნი ზოგადოების" გამგეობისათვის 25 წლ სებობის დღე და თან 10 ათასი მა წარმოუგზავნია.

◆ 6 აპრილს **მოხდა სამკურნალო ზოგადოების** კრება. სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება ექიმის მ. ვ. ლ ჩისა ჰომის ციებ-ცხელების გამავრ ბელ მწერის შესახებ. მოხსენება მო კრებამ და მადლობა გადაუხადა ექიმ კვირჩს, ამასთან დაადგინა, დაბეჭ მოხსენება თავის გამოცემაში. შემდ ბამ მოისმინა მოხსენება ექიმის გ. ი.

ფელეტონი

მამულიშვილობა და მეცნიერება

(შემდეგი *)

რაკი ბ-ნი გოგებაშვილი დარწმუნებულია, რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი" ისტორიის წერას ეროვნულ უფლებათა მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იმასა ჰგონია, ვითომც ქართველი მეცნიერები „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი ხასიათის" საისტორიო თხზულებებს უნდა სწერდნენ და ვინც ამ მოვალეობას არ ასრულებს, უკუღმართობის გზას ადგეს. ბ-ნ გოგებაშვილს თავის წიგნში იმ მკვლევართა გუნდიდან, რომელთაც იმის აზრით სურთ „ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დამალონ, უარჰყონ მისი ყოველივე თავისებურობა", მხოლოდ ორი მაგალითი მოჰყავს. პირველზე არას ვიტყვი, მე მხოლოდ მეორე მაგალითზე გავპირობ საუბარს. თუმცა ბ-ნი გოგებაშვილი ამ მკვლევარის გვარს არ ასახელებს, მაგრამ იმის სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ იგი პროფესორ ნ. მარრზე ლაპარაკობს.

ჩვენ საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორებია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე; ბ-ნი გოგებაშვილი ამ ჭორების ხმას აჰყვა და თავის წიგნში ყველა ამგვარ ცილისწამებას თავი მოუყარა ერთად. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ყველა ჭორები და ცილისწამება სრულს უვიცობასა და გაუგებრობაზეა დამყარებული. მე ხშირად შემხვედრია ისეთი მაბრალებელი პრ. მარრისა, რომელიც რიხიანად ლაპარაკობდა მასზე, თუმცა ერთი მისი სამეცნიერო თხზულებაც-კი წაკითხული არა ჰქონდა.

მაგრამ უკეთესია ბ-ნ გოგებაშვილის თვითეულ ბრალდების განხილვას შევუდგეთ. კვალდაკვალ ვეცდებით ვუჩვენოთ მკითხველს, რამდენად შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელთაც ვერ გაუგიათ პრ მარრის თხზულების მნიშვნელობა და დედა-აზრი და თვითეულ მის ნაწერს მტრის თვალით უცქერიან. ყველგან, როცა კი ჩვენ ამა თუ იმ წყაროდან, ან წიგნიდან საბუთები მოყვანილი გვაქვს, შენიშვნებში ასლი, ნამდვილი ტექსტია ამოწერილი, რომ მკითხველს ყოველთვის შეეძლოს დაინახოს სწორეა თუ არა ჩვენი მოსაზრება.

ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს: პრ. მარრი „მთელს ძველს ქართულს ლიტერატურას თარგმანსს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდან" (ბურჯი ეროვ. გვ. 52). პრ. მარრს ასე გადაჭრით მთელს ძველ მწერლობაზე არც როდის არ ულაპარაკნია; იგი ამტკიცებდა მხოლოდ, რომ დაბადება და ახალ აღთქმის სასულიერო წიგნები, რომელნიც ქართულ მწერლობის პირველ ხანას ეკუთვნიან, სომხურიდან არიან ნათარგმნი; ამ აზრს იგი ქართულ დაბადების დედნის შესწავლასა და შედარებაზე ამყარებდა; ამიტომ ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვები, ვითომც პრ. მარრი „მთელს ძველს ქართულს მწერლობას უმეტეს ნაწილად სომხურიდან ნათარგმნს ეძახის",—ან უნებლიეთი შეცდომა უნდა იყოს, ან განზრახ სიცრუე. „ვიდრე გამორკვეული არ იქნება, ამბობს თვით პრ. მარრი, როგორ და რამდენად ჰქონდა ქართულ ლიტერატურაზე სომხურ მწერლობას გავლენა, მანამდისინ შეუძლებელია ასურეთის, სომხეთისა და საქართველოს შორის სარწმუნოებრივ და სალიტერატურო ერთობის ხასიათის გამორკვევა" *).

ცხადია, რომ თვით ავტორს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნია; პირიქით, პრ. მარრის აზრით, ჯერ კიდევ უნდა გამორკვეს, თუ რამდენი და რომელი თხზულ ხლდობრ გადმოთარგმნილი არიან სომ ქართულად. იგი თვით კვალდაკვალ მის საკითხის გამორკვევას და მხოლოდ ამ ჰარაკობს, რაც უკვე შესწავლილი აქვს. რობით პრ. მარრმა განიხილა მხოლოდ (იხ. Изъ поѣздки на Аѳонъ, Ж. М. 1893 წ. № 4, გვ. 14). 14 წმიდა რებანი (ibid. გვ. 16—20), „იშოლ ქებათაჲ" (იხ. Тексты и разысканія мяно-груз. филологіи вып. III, გვ. სახისმეტყველი (ibid. вып. VI), რომ რი ვიდრე საკითხი სრულიად გამორკვე მიაჩნია, გადაჭრილს აზრს ქართულ მწერ არ გამოსთქვამს ხოლმე, შეიძლება მის სიტყვებიდან დაინახოს მკითხველმა: თქმის „ნე თის" („პარალიპომენო იგი ფრთხილად სწერს: „ნემთის გმანზე ჭკერ-ჭკერობით ვდუმ, იმის ამ წიგნის ძველი შესწორებული არა მაქვსო") (Кавк. вѣст. 1902 Ново тый армян. текстъ „Паралипомено 13, შენ. 1)*).

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2457.

*). „Безъ выясненія какъ качества, такъ и размѣровъ армянскаго вліянія на грузинскую письменность нѣтъ никакой возможности уяснить себѣ характеръ литературнаго и вообще христіанско-культурнаго общенія Сиріи, Арменіи и Грузіи". Изъ поѣздки на Аѳонъ Ж. М. Нар. Пр. 1899 г. № 3.

*) „О грузинскомъ переводѣ пока чу, такъ какъ я не располагаю др текстомъ Паралипоменонъ, не подвер позднѣйшимъ исправленіямъ"...

შევისა. ბ-ნმა თამამშევმა კრებას გააცნო 8 წლის ყმაწვილი, გვარად ფალიაშვილი, რომელსაც საოცარი ხსოვნა ჰქონია. ყმაწვილს შეუძლიან რამდენისამე წუთის შემდეგ გაიგოს, მაგალითად, 1900 წელს 10 თებერვალს რა დღე იყო. დასასრულ კრებამ მოისმინა ანგარიში ტუბერკულიოზის საწინაალმდეგო გამოფენისა. გამოფენა 19 დღეს იყო. გამოფენა დაათვალიერა 3779 კაცმა, აქედან 1300 უფასოდ. თვით ექიმმა, ბლიუმენტალმა წაიკითხა სამი ლექცია. გამოფენიდან შემოვიდა 2089 მან. 73 კაპ. აქედან დაიხარჯა 1723 მან. 43 კაპ. დარჩა 1366 მან. 10% გადაიდო წითელ ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ და სხვა ხარჯების გარდა დარჩა 165 მან. კრებამ დაადგინა, გადასცეს იმ საზოგადოებას, რომელიც უნდა დაარსდეს ჭლექთან საბრძოლველად, 165 მან. და ის ნივთები, რომელიც გამოფენიდან დარჩა. კრებამ დასასრულ დაადგინა, მადლობა გამოუცხადონ ადგილობრივ გაზეთებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას გამოფენის გამართვის საქმეში ცნობების მოთავსებით.

◆ გუშინ პოლიციის მე-5 ნაწილში, სომხთა მოლნინის ეკკლესიის პირდაპირ, შემდეგი **უბედურება მოხდა:** ტფილისის მოქალაქეს ციციკოვს ძველის სახლისათვის საძირკველი გამოუცლია, კედლებისთვის ბოძები შეუყუდებია და დაუყენებია მუშები ახალის საძირკვლის ამოსაშენებლად. ზოგი მუშა მიწას სთხრიდა, ზოგიც ზემოდ მუშაობდა. დღის 12 საათზე გაუვლია სახლის მახლობლად დატვირთულ ტაჩკას. სახლის კედელი იმდენად სუსტად ყოფილა დამაგრებული, რომ ტაჩკის გავლით შენძრეულ ბოძებს ველარ შეუმაგრებია და მთელი კედელი ძირს ჩამოწოლილა. კედელმა ქვეშ მოიყოლა სამი მუშა, ორი სომეხი და ერთი თათარი. ხალხი და ცეცხლის მქრობელი რაზმი მიეშველა, ორი სომეხი ცოცხალი გამოათრიეს ნანგრევიდან, ხოლო თათარი ჯერაც ვერ იპოვნეს. ასე ადევნებენ თვალყურს სახლების შენებას ქალაქის ტეხნიკოსები.

◆ ტფილისში, როგორც „ტიფ. ლისტ.“ გადმოგვცემს, განუზრახავთ **ახალ საზოგადოების დაარსება.** ამ საზოგადოებას აზრად ექმნება პატარ-პატარა აფთიაქების მოწყობა და გაგზავნა ჩვენის კუთხის ისეთ ადგილებში, სადაც არც ექიმი მოიპოვება და არც ფერშალი.

◆ ერევნის გუბერნიაში, არაქსის ხეობაში დიდ-ძალი **კალია გაჩნდა.** კალიის კვერცხებით მოფენილია 1200 დესეტინა მიწა. კავკასიის უმაღლესს ადმინისტრაციას გამოუწერია საჭირო აპარატები და შვეინფურტის ბალახი კალიასთან საბრძოლველად. კალიასთან ბრძოლის საქმის მოსაწყობად მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუნიშნავს აგრონომი ბაშინჯაგიანი.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით წელს ამიერ-კავკასიისათვის გამოიწერეს 2000 ფუთი **ბამბის თესლი.** თესლი კარგად იყიდება ერევნისა, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა შორის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 6 აპრილის დაადგინა, საჩივარი აღძრას მანდინოვისა და პ. სერგიენკოს წინააღმდეგ, რომელთაც, გამგეობის აზრით, **ქალაქის მიწა მიუთვისებიათ.**

◆ ტფილისის გუბერნიის უფროსმა **საქარხნო ინსპექტორმა** გუბერნატორს წარუდგინა იმ კომისიის მიერ შემდგარი აქტები, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დათვალიერება მ. პ. საფაროვის თამბაქოს ქარხნისა, თავართქილაძის და ნაზარიანცის სტამბებისა. კომისიას ყველა ამათი სადგომები უვარგისად უცვნია და დაუდგენია: საფაროვის თამბაქოს ქარხანას ვადა ახალ სადგომის მოძებნისა პირველ ენკენისთვემდე მიეცეს, ხოლო ხსენებულ სტამბების პატრონთ—პირველ ივლისამდე.

◆ მთავარ-მართებლის განკარგულებით, სახაზინო პალატაში გაიხსნა 15 ათასი მანეთის კრედიტი იმ ხარჯის გასასტუმრებლად რომელიც ექიმების შესანახად და **საქონლის ჭირთან საბრძოლველად** არის საჭირო ტფილისის გუბერნიაში.

◆ ახალციხეში სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო სამმართველოს სადგომში ვიღაც ბოროტ-განმზრახველს **მოუკლავს საქმის მწარმოებელი** ამავე სამმართველოსი ვაგან ნაზარეტოვი. მკვლელის საპოვნელად ზომებია მიღებული.

◆ **სოფ. ფხვენისში** (გორის მაზრა) არსდება ამ სამოსწავლო წლიდან სამრევლო სკოლა.

◆ გუშინ მესამე დღე იყო, რაც ტფილისში **რუსეთის ფოსტა** არ მოსულა.

◆ კაცის კვლა: სოფ. თოხლიაურთან (ტფილ. მაზ.) უპოვნიათ უსულდგმულო გვამი სოფ. საგარეჯოს გაჭრის ისაკ ბაზარიშვილისა. გვამს ეტყობა, რომ მოუკლავთ, რადგან გაძარცვა სდომებიათ.

— სოფ ბოდბის-ხაჩინთან (ბორჩალოს მაზრა) ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს თოფით მოუკლავთ სოფ. ხაჩინში მცხოვრები შულავერელი მგვიდრი, მიხეილ არუთინოვი.

— სოფ. შაბლუზლოში (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებ ორუდ-ალი-ოღლიმ ჩხუბის დროს თოფით მოჰკლა თავისივე მეზობელი კარა-ორუდმოღლი.

— სოფ. დალლიარის (ბორჩ. მაზ.) მცხოვრებმა სულეიმ-უსიუბ-ოღლიმ მტრობით ხანჯლით მოჰკლა თავისავე მეზობელი სარი ნამაზ-ოღლი

◆ ბორჩალოს მაზრის უფროსმა აცნობა გუბერნატორს, რომ დიდის თოვლის გამო გზა ბეზობდალის უღელ ტეხილზე ხელ ახლა შეიკრა და ზომები მივიღე იმის გასაწმენდადო.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „Народная медицина въ закавказскомъ краѣ“, ა. ო. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

◆ სოფ. ვარიანში (გორის მაზრა) არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლა, ამ სამოსწავლო წლიდან დაუხურავთ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა აცნობა გამგეობას, რომ ეკატერინე სტეფანოვისამ, როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, ქალაქის მიწა მიითვისაო. გამგეობამ დაადგინა, ამ საქმის გამორკვევა კომისიას მიანდოს.

◆ სოფ. ანანურიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ: 29 მარტს ანანურის ღვთისმშობლობამ, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრება, უხიფათოდ არ ჩაიარა. საღამოს 5 საათზე ერთი მოქეიფე „კამპანია“, რომელიც სოფ. ციხის ძირელთაგან შესდგებოდა, წაეჩხუბა მეორე მოქეიფეთ, რომელნიც ანანურელნი იყვნენ. იქ მყოფმა ჩაფრებმა გააშველეს მოჩხუბარნი. მეორედ კიდევ ასტეხეს ჩხუბი ამათვე. ჩაფრებმა წაართვეს მოჩხუბართ ჯოხები. ამ დროს გაიმართა დიდი ჩხუბი ჩაფრებსა და ხალხს შორის. ასე ოც კაცამდის თავს დაესხა ამ ჩხუბის დროს ჩაფრებს და სცემდა. ამ საქმის გამო დუშეთის მაზრის უფროსმა საქმის გამოსაძიებლად გაგზავნა კაცი, რომელმაც სოფ. ციხის ძირში შეიპყრო რამდენიმე მოთავე ამ ჩხუბისა და გამომძიებელს გადასცა.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველები შუადღისას თავს დასხმიან ახალციხის მოურავს ბ-ნ მოსესოვს და უცემიათ.

◆ სოფ. მეჯვრისხევიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ: სოფ. ძევერაში მიმავალ უფროს „სტრაჟნიკს“ შამამ კაბულაშვილს გზაში შეჰხვედრია ამავე სოფლის გლეხი ივანე ქეჩხუაშვილი და ჩხუბი მოსვლიათ. მოჩხუბართა გასაშველებლად მიშველებია სოფ. ძევერის მცხოვრები აზნაური ვასილ ჯავახიშვილი, რომელიც კაბულაშვილს დაუჭრია ხმლით მარცხენა ხელში. ამათ კინკლაობით უსარგებლნია კეჩხუაშვილს, მივარდნია კაბულაშვილს, გამოუტაცნია ხელიდან ხმალი და ორ ალაგს მძიმედ დაუჭრია.

◆ როგორც სოფ. წიფრანიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ, აქაურ მცხოვრების გიორგი ბულალაურის სადგომში ღამე შევარდნილა თიანეთის მაზრის სოფ. წინხადოს მცხოვრები მიხეილ გიორგიშვილი ამხანაგით, წაურთმევია ბერდანის თოფი, პატრონტაში 30 პატრონით, ვერცხლის ძვირფასი ქამარი და 100 მანეთი ფულად.

◆ სოფ. წილკანში (დუშეთის მაზრა) მცხოვრებს ილიკო რამხაშვილის თივას ვიღაც ბოროტ განმზრახველებმა ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 80 მანეთისაა.

◆ კაცის დაჭრა: სოფ. იაგუბლოს (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებლებს სულეიმან მურვან-ოღლის და ყურბანამ-იოლჩი-ოღლის მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც უკანასკნელს პირველი ზურგში მძიმედ დაუჭრია.

— სოფ. კუდლიარის (ბორჩ. მაზ.) მეცხვარეებს ისა-მუსა-ოღლის და ასტან-კამბარ-ოღლის ჩხუბი მოსვლიათ ნათესების გფუჭების გამო. პირველს ხანჯლით დაუჭრია მეორე, ხოლო მეორეს—კეტით პირველი.

◆ ბაქო. 6 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათსა და 5 წუთზე, სადგურის წინ უეცრად გარდაიცვალა სკურბან სამარი მასლ-ოღლი, 25 წლისა. მიცვალებულის გვამი ბაქოს საავადმყოფოში წაიღეს.

◆ ბაქო. 6 აპრილს, დილის 8 საათსა და 18 წუთზე, საბუნჩას შტოზე ერთმა უცნობმა კაცმა მოისურვა ლიანდაგზე გადასვლა, მაგრამ მომავალ მატარებლის ორთქლმავალ ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა მარცხენა ფეხი მოსტეხა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს.

ამ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების მე-208 №, რომელშიაც მოთავსებულია: „შკაფი“ გიუ დე-მოპასანისა; სურათები: „დაკარგული სამოთხე“, რატისა, ვ. კოკოვცევი და რამდენიმე სურათი იაპონიის ცხოვრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

ფოთი, 7 აპრილი. დღეს, 7 აპრილს გათენებისას, აბაშასა და სენაკის შუა ოთხმა ყაჩაღმა გაძარცვა საფოსტო ვაგონი იმ მატარებლისა, რომელიც ფოთში მიდიოდა. გაიტაცეს მთლად ფულის კორესპონდენცია. დაიჭრა მოხელე ხოშტარია.

ქუთაისი, 7 აპრილი. ეს არის ეხლა შემდეგი ცნობა მოვიდა ახალ-სენაკიდან: 7 აპრილს, ნაშუაღამევის 3 საათსა და 40 წუთზე, სადგურ აბაშასა და პლატფორმა ნოსირს შუა მიმავალ მატარებლის საფოსტო ვაგონზე შეხტა ოთხი ყაბალახ ახვეული და ჩერქეზულად გამოწყობილი ავაზაკი, შეიარაღებული ბერდანებითა და ხანჯლებით. მორგებულის გასაღებით გააღეს ვაგონის კარი, მსუბუქად დასჭრეს მარცხენა ხელში ფოსტის მოხელე ხოშტარია და ერთმანეთს გადააბეს ბაწრით ისა და ფოსტალიონი ჩიტავა. შემდეგ მოიტაცეს პაკეტებიდან 2199 მან. 11 კაპ. და სმიტ-ვესონის რევოლვერი; დახიეს 4 ტყავის ტომარა და წაიღეს რაც შიგ იყო; დასტოვეს ერთი ხანჯალი და გასაღებები; ბოლოს პლატფორმის ახლო ჩამოხტნენ და მიიმალნენ. ადგილობრივ პოლიციას მაშინვე შეატყობინეს და იმანაც ღონისძიება მიიღო ავაზაკთა აღმოსაჩენად.

სასამართლო

I

ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთ „ბაქოს“ თანამშრომელს შვამრაუმ დრევნიცკის გაზეთში ცნობა მოუთავსებია იმის შესახებ, რომ ბაქოს ოლქის სასამართლოს მოხელე სემირხანოვი განგებ საქმეებს დროზედ არ გადასცემს ხოლმე სასამართლოს წევრს, რათა ამით საქმის გადაწყვეტა დააგვიანოსო. დრევნიცკი პასუხის გებაში მიუციათ. ჰბრალდება მოხელის ბეჭდვითი ცილის დაწამება. ბაქოს ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბრალდებულს დრევნიცკის უთხოვნია, გამოეწვიათ მოწმე გიორგობიანი. სასამართლოს უყურადღებოდ დაუტოვებია დრევნიცკის თხოვნა, დამნაშავედ უცვნია იგი და გადაუწყვეტია იმისთვის ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. დრევნიცკის საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადმოუტანია. აქაც გაუმეორებია თავისი თხოვნა, მაგრამ აქაც უარი უთქვამთ და შეუცვლელად დაუმტკიცებიათ სასამართლოს განაჩენი. დრევნიცკის ვექილს კ. ჯაფარიძეს პალატის გადაწყვეტილება განუსაჩივრებია სენატში. ვექილს საჩივარში აღუნიშნავს ის გარემოება, რომ ოლქის სასამართლომ ბრალდებულს შეძლება არ მისცა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. სენატს გაუუქმებია პალატის განაჩენი და გადაუწყვეტია დაევალოს პალატის სხვა წევრთა კრებულს ეს საქმე ხელმეორედ განიხილოს.

II

როგორც აღნიშნული გვქონდა, სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სადგურ მიხაილოვის სახელოსნოს მუშები მაქსიმე კიკნაველიძე, მათე მესაბლიშვილი, რომან მეგრელიშვილი, ვ. ლაბაძე, სერგო არუთინოვი, კვესაძე, ფერაძე, და სხვ. დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი 14 ივნისს 1803 წელს მომხდარ არეულობა უწესობაში მონაწილეობის მიღებისთვის და მისაჯა იმათ ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა. მუშები არ დასთანხმდნენ პალატის გადაწყვეტილებას და საჩივრები გაჰგზავნეს სენატში.

როდესაც პრ. მარრი ამბობს, რომ უძველესი ქართული საეკლესიო მწერლობა სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნი, იგი, რასაკვირველია, ქრისტიანობის პირველ ხანაზე ლაპარაკობს, რომელმაც დაახლოვებით მე-VII—VIII საუკ. გასტანა, ვიდრე ქართველები და სომხები ერთი ერთმანეთს სარწმუნოებრივ არ დაშორდნენ. ცხადია აგრეთვე, რომ პრ. მარრი განსაკუთრებით ისეთ თხზულებების თარგმანზე ლაპარაკობს, რომელნიც ყველგან (საბერძნეთის გარდა, ზოგჯერ იქაც-კი) ნათარგმნი იყვნენ. ამით, რასაკვირველია, იგი არ უარჰყოფს იმისთანა ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებების არსებობას, რომელნიც შესაძლებელი იყო ადგილობრივ შეეთხზათ. მაგ. ქართველ წმიდათა ცხოვრებანი (9 ძმა კოლაელ. რაჟდენისა, ევსტატე მცხეთელისა და უძველესი ჯერჯერობით დაკარგული ასურელ მამათა ცხოვრებანი) საპაექრო (საპოლემიკო) წერილები და სხვა. მაგრამ გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ჩვენ მამულიშვილებს ნებას არ აძლევს წარმოიდგინონ, რომ ქართველებს ოდესმე შეეძლოთ რაიმე გადმოეთარგმნათ სომხურიდან. ამნაირი გრძნობა-კი ავადმყოფურ თავმოყვარეობის შედეგი გახლავთ: ვინ არ იცის, რომ ძველი და ახალი აღთქმის და ყველა საეკლესიო წიგნები სომხების შეთხზული არ არის; ქართველებს საიდანმე უნდა გადმოეთარგმნათ უეჭველია ეს წიგნები. როგორც თვით სომხებმა ასურულიდან გადმოთარგმნეს, ბერძნებმა ებრაულიდან, რომაელებმა ბერძნულიდან, რუსებმა ბოლგარულიდან და სხვა და სხვა.

რა სათაკილოა მერე ჩვენთვის, რომ სამღთო წერილი სომხურიდან იყოს ნათარგმნი? სომხებმა, როგორც ასურელებთან მოსაზღვრე ერმა, ჩვენზე უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა; სომხეთიდან ქრისტიანობა ჩვენშიაც გადმოვიდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში; დასავლეთ საქართველოშიც, მაშინდელ ლაზიკაშიც ვრცელდებოდა ახალი სარწმუნოება, მაგრამ იქ ბერძნებმა ისეთი მტარვალური გავლენა იქონიეს, რომ არც ლაზიკაში, არც კოლხიდაში სამშობლო ენაზე მწერლობა არ აღორძინებულა; პირიქით საბერძნეთმა ლაზიკა თითქმის სრულიად მოაშორა და მოსწყვიტა ქართველობას; ხოლო კოლხიდაშიც, რომ აღმოსავლეთიდან, ქართლიდან თანამოძმენი სამშობლო ენაზე უკვე განვითარებულ მწერლობით და წირვა-ლოცვით არ მიჰშველებოდნენ, საქმე ცუდად დატრიალდებოდა. ვრცლად ლაპარაკი ამ საგანზე ეხლა შეუძლებელია, რასაკვირველია, თავის დროზე ვეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის კოლხიდაში სამშობლოს წინაშე ქართველ სამღვდელოებას.

პირველ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობას სრულებით არა ჰქონია ეროვნული მიდრეკილება; პირიქით იგი ყოველგვარ ნაციონალურ განცალკევებას უარჰყოფდა. ამნაირივე საერთაშორისო, კოსმოპოლიტური ხასიათი უნდა ჰქონოდა იმ ქადაგებასაც, რომელიც გაისმა ასურეთიდან სომხეთში, სომხეთიდან საქართველოში. ამიტომ როცა პრ. მარრი, ან სხვა რომელიმე მკვლევარი სომხური მწერლობის გავლენაზე სწერს, ეს სომხურ ეროვნულ მწერლობის გავლენას-კი არა ნიშნავს, არამედ კოსმოპოლიტურ, საქრისტიანო სომხურად დაწერილ, ნათარგმნ, ან ორიგინალურ მწერლობის გავლენასა. ამ აზრს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ვიდრე საქართველოსა და სომხეთში ეროვნული მიმართულება მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა, მანამდისინ დიდიხანია რაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება უკვე მომხდარი იყო.

ეხლა ვთქვათ ჩვენთვის, რითაა სათაკილო ქართველის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის, რომ უძველეს ხანაში ქრისტიანობა სომხეთის მხრიდანაც ვრცელდებოდა ჩვენ სამშობლოში? რად უნდა აუხვიოს გვერდი ქართველმა მეცნიერმა ამ საკითხს? აგრე რომ ყოფილიყო, გერმანელებს ხომ კრინტიც არ უნდა დაეძრათ იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობა საფრანგეთიდან გავრცელდა, მით უმეტეს რომ ეს ორი ხალხიც ერთმანერთზე გადამტერებულია და მეტოქეობენ. მაშ რუს მეცნიერებსაც თავიანთ საეკლესიო ისტორიის უძველესი ხანის შესწავლაც ხომ ეროვნულ თავმოყვარეობის დამამცირებლად უნდა ჩაეთვალათ, იმიტომ რომ რუსების უძველესი სასულიერო მწერლობა თითქმის მთლად ბულგარულიდანაა ნათარგმნი, და სხვა და სხვა. მაგრამ არც გერმანელებს, არც რუსებს არ ეთაკილებათ, იმიტომ რომ სათაკილოც არაფერია. ჩვენ-კი იმდენად ავადმყოფური თავმოყვარეობა გვაქვს, რომ ყველას, ვინც კი ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხება და გამოკვლევას შეუდგება, სამშობლოს ღალატს დავწამებთ ხოლმე და ჩვენ ნებაზე რომ ყოფილიყო—ჯვარს ვაცვამდით... ხოლო იმ საკითხის გამოკვლევა, თუ საიდან გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში, აღმოსავლეთიდან, თუ დასავლეთიდან, რომელს მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ხანებში, აუცილებლადაა საჭირო იმიტომ, რომ ამ საკითხზე დამოკიდებულია ბევრი კულტურის მხრივ ფრიად საყურადღებო ცხოვრების მოვლენანი, რომელთა შესახებ საუბარი ეხლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ივ. ჯავახიშვილი

(გაგრძელება იქნება)

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება

ამ წლის 14 აპრილს, საღამოს 7 საათზე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება ნაცვლად იმისა, რომელიც 30 მარტს არ შესდგა.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ მკითხველთ მოკლედ გავაცნოთ ხსენებულ საზოგადოების მდგომარეობა. 1904 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას ჰყოლია 1576 წევრი, წარსულ წლისაზე 45 წევრით მეტი; ბანკს საწარმოო თანხა ამ დროისთვის შეუსრულდა 157.055 მანეთამდე, წინა წლ-საზე 4,340 მანეთით მეტი; უზრუნველსაყოფი თანხა 1,413,495 მან., წინა წლისასთან შედარებით 38,880 მანეთით მეტი.

ბანკის სათადარიგო თანხა შეადგენს 60,836 მან. 71 კაპ., რომელიც წინა წლისას აღემატება 4,724 მან. 68 კაპეიკით.

1903 წლის განმავლობაში ბანკს დაუტრიალებია 19.824.625 მან. 54 კაპ. (ოც მილიონ მანათამდის), რაც წინა წლის ჯამს 2,392,972 მან. 36 კაპ. აღემატება.

მიმდინარე ანგარიშით 1903 წლის 1 იანვრისათვის წევრებს ბანკისთვის მიბარებული ჰქონიათ 304,306 მან. 92 კაპ., საანგარიშო დროს განმავლობაში შემოუტანიათ 3,850,350 მან. 41 კაპ., იმავე დროს გაუტანიათ 3,791,549 მან. 68 კაპ., ამ წლის 1 იანვარს ამ ანგარიშისა იყო 363,107 მან. 65 კაპ.

1903 წლის 1-ლ იანვრისთვის ბანკში დარჩენილი იყო უვადოთ მიბარებული ფული 27.581 მან. 80 კაპ., წლის განმავლობაში შესულა 105.324 მან., გაუტანიათ 103. 596 მ. 80 კ., ამ წლის 1-ლ იანვრისათვის დარჩენილა 29.309 მან.. ვადით მიბარებულის ფულისა 1903 წ. 1-ლ იანვრისათვის ყოფილა 754.622 მან., წლის განმავლობაში შემოსულა 428.729 მ., ისევ გაუტანიათ 618.033 მან. 33 კ., დარჩენილა 565.317 მან. 67 კ.

1903 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო ვექსილები 924.188 მანათისა, წლის განმავლობაში წარუდგენიათ 6324 ვექსილი 2.137.815 მანათისა, ამ წლის 1-ლ იანვრისათვის დარჩენილა 969.895 მანათისა; სულ საანგარიშო წლის განმავლობაში ამ ოპერაციიდან ბანკს მიუღია %% 88.960 მან. 23 კაპ.

საანგარიშო წელს ბანკს გაუცია სესხები: ა) სახელმწიფო ფასიან ქაღალდების გირაოთი 54.580 მანათისა; ბ) კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ფასიან ქაღალდების გირაოთი—83. 789 მანათისა; გ) ლითონის გირაოთი—2.194 მანათისა; დ) სავაჭრო კვიტანციების გირაოთი—8.415 მანათისა; ე) საქონლის გირაოთი—1770 მანათისა. სულ ამ ოპერაციებიდან ბანკს შემოსვლია %% და ჯარიმა 19.493 მან. 73 კაპ,

საანგარიშო წელს ბანკს გაუხსნია კრედიტები უზრუნველყოფობით: ა) სარგებლიან ქაღალდებისა—275.467 მანათის; ბ) საქონლისა—247.750 მან.

საანგარიშო წლის განმავლობაში ბანკის სხვა და სხვა კორესპონდენტების ანგარიშით ყოფილა: კრედიტზე—5.217.003 მან., დებიტზე—4.943.465. მან., სულ—10 მილიონ მანეთზე მეტი. იმავე წელს ბანკს მიუღია გადასაგზავნად 1.921.835 მანათი.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ სატეხნიკო და სახელოსნო განათლების ფონდისა ბანკს ჰქონია 1904 წ. 1-ლ იანვრისათვის 38.955 მ.; ხოლო უძრავი მამული არის—74.695 მანათისა.

1903 წელს ბანკს დარჩენია წმინდა მოგება 15,380 მან. 90 კაპ., წარსულ წლის მოგებასთან შედარებით 633 მან. 79 კაპ. მეტი; აქედან ტეხნიკურ და სახელოსნო სწავლა-განათლების გასავრცელებელ თანხას მიემატება 1,538 მან. 9 კაპ. სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად გადაიდება 1,539 მან. 17 კაპ. და სხ., წევრთა შორის დივიდენდათ გასაყოფი რჩება 10,489 მან. 15 კაპ. ყოველს 100 მანეთზე წევრს ხვდება დივიდენდი 7 მანეთი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო წლის 22 დეკემბერს ბანკს, როგორც მკითხველებმაც იციან, დაეცნენ ავაზაკები და მოიტაცეს ფულად 30,882 მან. 32 კაპ. და 12,220 მანეთის 50 კაპ. პროცენტებიანი ქაღალდები და ძვირფასი ნივთები. აქედან ფულად ნახეს და უკანვე დაიბრუნეს 27,313 მან. 81 კაპ. და 5,706 მან. 50 კაპეიკის ნივთები; ასე რომ—ბანკის ზარალი უდრის 11,082 მან. 51 კაპეიკს.

ამ მოკლე ანგარიშიდანაც სჩანს, რომ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მოქმედება 1903 წელსაც მარჯვე და დარბაისლური ყოფილა.

წელს ბანკს შეუსრულდება 25 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაშა იგი პირნათლად ასრულებდა მოვალეობას და საერთო ნდობა-თანაგრძნობა დაიმსახურა არა მარტო ქუთაისის გუბერნიაში, არამედ თავის სამოქმედო რაიონის გარედაც. 25 წლის განმავლობაში ბანკი დიდ სამსახურს უწევდა მთელს გუბერნიას და ჩვენი საზოგადოებაც აფასებდა ამ ღვაწლს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიაც საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა თავისავე ბანკს; ამისთვის ასეთი ყურადღება უფრო საჭიროა, ვიდრე იმ ბანკისათვის, რომელიც ეხლახან გაიხსნა ქუთაისში და რომელსაც თავისი საკუთარი თანხებიც ბლომად აქვს ჩვენში მოგების მოსახვეჭად. ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება მჭიდროდ შეუკავშირდა როგორც ჩვენის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს, ისე ჩვენს საზოგადოებრივ მოქმედება-მოღვაწეობას და ამიტომ ყველას მოვალეობაა ამ სიმპატიურ დაწესებულების ერთგული დარჩეს გვლავადაც.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთიდან 6 აპრილს ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

— სტატსკი-სოვეტნიკი ანდრეევი დაინიშნა ბრძოლის ველზე ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსად.

პორტ-არტური. 6 აპრილი (საკუთარის კორესპონდ.). პორტ-არტურის რაიონში მყუდროებაა. ადმირალ სკრიდლოვის დანიშვნას აქ აღტაცებით მიეგებნენ.

„პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვის ამბავს მნახველები ასე გადმოგვცემენ: როდესაც რუსეთის ესკადრა საომრად დაიწყო და „პეტროპავლოვსკ“-ი ესკადრის თავში დადგა, უეცრად ამ გემზე კვამლი გამოჩნდა და ოდნავ შესამჩნევი აფეთქება მოხდა. ამის შემდეგ ავარდა დიდი კვამლი და საბოლეებს შუა საშინელი ალი გამოჩნდა; ამას მოჰყვა ძლიერი აფეთქება, ჯავშნიან გემის ბოლო წყალს ზევით ამოვიდა და უცბად ჩასძირა. გემი თითქმის ერთ წუთში დაიძირა. გადარჩენილ მიჩმანმა იაკოვლევმა სთქვა, იმის მოფიქრებაც ვერ მოვასწარი, როგორ გადამერჩინა თავი, როცა უეცრად ვიგრძენ, რომ უფროსის ადგილი, რომელზედაც მე ვიდექი, უკვე წყალში იყო; ამ ადგილის მეორე მხარეს მდგომნი, მათ შორის ფლოტის უფროსი მაკაროვიც იმ წამსვე დაიღუპნენო. ყოველივე ეს ორ წუთში მოხდა; მიუხედავად ამისა, ფოტოგრაფიის ერთმა მოყვარულმა მოასწრო და სურათი გადაიღო. იქვე ახლოს მდგომნი „გაიდამაკი“ და ნაღმიან გემები გაეშურნენ მეზღვაურთა გადასარჩენად. გემის დაღუპვის საშინელმა სურათმა ყველა მეტად შეაძრწუნა. ამბავი ერთ წუთს მოეფინა მთელ ქალაქს. ყველ ტიროდა და არავის არ უნდოდა დაეჯერებინა ადმირალ მაკაროვის დაღუპვა. ერთ ხანს იმედი ჰქონდათ, იქმნება გადარჩაო. ბევრი დარწმუნებით ამბობდა, რომ ორ აპრილს პორტ-არტურს ახლო იაპონიის კრეისერი დაიღუპა. ჩვენმა ყუმბარებმა დააზიანეს „ნისინი“ და „კასუგა.“ ამ დღეებში აქ მშვიდობიანობაა. დღეს ძლიერი ქარი ჰქრის.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია შემოღებულ იქმნას ახალი დებულება აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებათა მოქმედებისა ომიანობის დროს. ამ ახალის დებულების პირველი მუხლი ამბობს: აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებანი განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას იმ დროსაც, როცა ჯარები სალაშქროდ არიან ამხედრებულნი; საზოგადოებათა დანიშნულებაა ამ დროს მიაწოდონ მეომართ საჭირო სანოვაგე. მეათე მუხლი ამბობს: საეკონომიო საზოგადოებანი აარსებენ ბრძოლის ველზე ერთს ან რამდენსამე განყოფილებას. ახალი დებულება დაბეჭდილია „რუს. ინვალიდის“ 75 ნომერში და 26 მუხლს შეიცავს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

7 აპრილი

პორტ-არტური. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მშვენიერი თბილი ამინდი დგას.

ლონდონი. აქაური გაზეთები ჰმოწმობენ იმ ხმას, რომ იაპონიის დიდი ტრანსპორტები ლიაოდუნის ნახევარ კუნძულისაკენ მიდიოდნენო.

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: ორშაბათს ჩიფუდან სამხრეთით 50 ვერსის მანძილზე გაიარა იაპონიის 40 სატრანსპორტო გემმა, რომელნიც პორტ-არტურისაკენ მიდიოდნენ. გემებზე სინათლე ჩამქრალი იყო. ჰფიქრობენ, წინედ ნანახმა 40 სატრანსპორტო გემმა იაპონიის ჯარი უკვე გადაიყვანა დაგუშანის მახლობლადაო. იაპონიის საზღვაო ატაშემ ლონდონში, განაცხადა, რომ იაპონიის ფლოტს წყლის ქვეშ მავალი ნავები არ აქვსო. ატაშეს აზრით, იაპონელებს აზრად აქვთ, რუსეთის დანარჩენი გემებიც გაანადგურონ, ამისათვის პორტ-არტურის უკან ხმელეთზე ჯარს გადაიყვანენ და ერთსა და იმავე დროს ქალაქს ზღვიდან და ხმელეთიდან დაეცემიან.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი

სალონიკი („კორესპ. ბიური“). შარშანდელ ამბების მეთაურებმა, რიზვანჩევმა და სუგარევმა, სამოქალაქო აგენტების შემწეობით განაცხადეს, მთავრობას ვემორჩილებითო. ხილმი-ფაშა პატივებას დაჰპირდა და თანაც აღუთქვა, ოსმალეთიდან თავისუფლად წასვლისათვის მოწმობებს მოგცემთო. ამ მეთაურთა წასვლის შემდეგ აქ ამბოხების მეთაურნი აღარ იქმნებიან და ამბოხებაც მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზის მმართველობა აცხადებს: რადგან ხსენებულ გზაზე ლოკომოტივთა და ვაგონთა რიცხვი ძალიან გაძლიერეს, შეიძლება კერძო პირთაგანაც მიღებულ იქმნას საქონელი ჯერ აჩინსკამდე და შემდეგ ირკუტსკამდე გადასაზიდავად.

პრეტორია. პოლიციამ დაატუსაღა 50 ჰოლანდიელთა რაზმის ექვსი წევრი და ბელადი, რომელნიც ლიდენბურგის ოლქში მიდიოდნენ ბანკებისა და საწყობების გასაძარცვავად.

სტამბოლი. ზინოვიევის აუდიენციას სულთანთან პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონია. უკანასკნელ აუდიენციის დროს სულთანმა ფორმალურად აღუთქვა ბულგარიის აგენტს ნაჩევიჩს, რეფორმებს ყველა ვილაეტში შემოვიღებ და მათ შორის ადრიანოპოლის ვილაეტშიაცაო.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ოფიციალური გაზეთი „ნოვი ვეკ“ აცხადებს, მთავრობამ კეთილად დაამთავრა სერბიასთან მოლაპარაკება დამოყვნებისა და დეზერტირების ბულგარიაში დაბრუნების შესახებაო.

სოფია (ოპპოზ. წრეებიდან). მაკედონიაში მყოფი მეამბოხეთა მეთაურნი აცხადებენ, მთავრობას დავნებდებით, თუ გვაპატიებს არეულობის მოხდენასაო. ოსმალეთის მთავრობამ პატიება აღუთქვა, მაგრამ იმ პირობით, რომ ოსმალეთიდან ბულგარიაში გადასახლდნენ. მეთაურთ ეს პირობა მიიღეს. ჰფიქრობენ, ამათ წასვლის შემდეგ ამბოხება აღარ განმეორდება.

ორიოლი. მოსკოვ-კურსკის რკინის გზით სამხრეთიდან მოსკოვს მიდის დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული.

ვაშინგტონი. პალატას წარედგინა კანონპროექტი, რომლითაც უქმდება გადასახლების შესახებ არსებული კანონები და რომლითაც უცხო ქვეყნის მთავრობათ ეკრძალათ მფარველობა გაუწიონ უცხოელ სანავოსნო საზოგადოებათ, რომელნიც ამერიკაში გადასახლების მსურველთ ხელს უწყობენ. თუ ხსენებული მფარველობა არ მოისპო, ამერიკის მთავრობა 30 დოლარს გადასახადს დააწესებს ყოველ კაცზე, რომელიც ამერიკაში მივა უცხოელ გემით.

7 აპრილი

ვენა. უელსის პრინცი და პრინცესა დღეს აქ მობრძანდნენ. სადგურზე იმპერატორი მიეგება.

ლონდონი. („რეიტ. სააგენტო“) ლორდთა პალატა. ლორდმა [illegible] მიულო ლანსდოუნს, რომელსაც ყველანი ტაშის ცემ მიეგებნენ, საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმ გათავება. მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარა ბის დროს შესაძლებელია სასარგებლო იქმნე „ვგონებ, ეხლა შესაძლებელია, სთქვა მინის ეს საქმე კარგად გათავდეს. დღევანდელ ამბ ტიბეტელებს შეუბრალებლად გაუქარწყლეს იმ რუსების დახმარებისა, ამიტომ ტიბეტელებ მალე გონს მოვლენ და ინგლისის პირობებ შეიწყნარებენ“.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). 6 აპრი მეფე-დედოფალი კოპენჰაგენიდან დაბრუნდნენ.

კატანია. გემი „ჰოჰენცოლერნ“-ი რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია, 6 აპრი კატანიას მოვიდა.

სტამბოლი. ომარში „ეფრატ“-ზე ხოლერ გაჩნდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

სარკინისგზო სატეხნიკო სასწავლებელში შესასვლელ ეგზამენებისათვის ამზადებს მასწავლებელი, რომელსაც დასრულებული აქვს ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელი. მსურველთ კეთილ ინებონ და მიჰმართონ წერილობით (რომელზედაც დაუყოვნებლივ ეცნობებათ პირობები) 20 მაისამდინ ამ ადრესით: Манглисъ. Учителю ст—Манглиской школы И. С. В. ხოლო მა შემდეგ: Тифлисъ. Анчисхатская № 18 кв 1 верхній этажъ. (3—118—3)

დოქტორი მედიცინისა
ვლ. ივ ინაშვილი
მიიღებს შიგნეულით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დილით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—2)

დ. ყვირილა
14 აპრილს, საღამოს 4 საათზე, ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია **ყვირილის სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება**.
განსახილველია: 1) დამტკიცება წლიურ ანგარიშებისა; 2) მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა; 3) არჩევნები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და მათის კანდიდატებისა. (3—138—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ 16 აპრილს, დღისით 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** მთელის წლის განმავლობაში ქუჩების განათებისათვის საჭირო კეროსინის—200,000 ფუთის—იჯარით ასაღებად. პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმათ უნდა წარმოადგინონ 1200 მანეთი ბე. განცხადების წარმოდგენა დაბეჭდილ კონვერტებითაც შეიძლება. (3—6—2)

სასტუმრო იალტა ნომრებით
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, პიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, პიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—16)



საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.
მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა, ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ასრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.
პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—17)

Доз. ценз. Тифлисъ 7 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.).